1976

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# 3

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

## МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მარტი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1976 წლის 29 იანვრის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1975 წლის 6 თებერვლის ერთობლივი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და პროფკავშირული კომიტეტები, ასრულებდნენ რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1975 წლის 6 თებერვლის ერთობლივ დადგენილებას, განახორციელეს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული დადგენილება განხილულია ზოგადსაგანმანათ-

ლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დირექტორების თათბირზე, დადგენილებას გაცნობილნი არიან აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაკები.

დადგენილების შესაბამისად, 1975 წლის მანძილზე ქალაქების და რაიონების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განხილული შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის საკითხი, დასახულია ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

სახალხო განათლების განყოფილებაში ერთ-ერთ სასკოლო ინსპექტორს დავალებული აქვს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების კოორდინაცია.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებამ გამოავლინა, რომ ზოგიერთი სკოლის დირექციას და პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კვლავ აღინიშნა იგივე ხარვეზები, რაც ახასიათებდა სკოლებს 1974 წლის შემოწმების დროს, არ გააკეთეს სათანადო დასკვნები მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანი მხარეების სალიკვიდაციოდ.

სასწავლო სახელოსნოები დღემდე მოუწყობელია სიღნაღის რაიონის წნორის რუსულ (დირექტორი მ. კირაკოზოვა), მარნეულის ქართულ (დირექტორი ტ. ფანცულაია), თბილისის 29-ე (დირექტორი ნ. ბულისკირია) და 115-ე (დირექტორი რ. ეჯუბოვი) საშუალო სკოლებში. ავარიულ მდგომარეობაშია მარნეულის რუსული (დირექტორი კ. სტომატოვი) და ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვოს (დირექტორი შ. ფირცხალავა) საშუალო სკოლების სასწავლო სახელოსნოების სათავსები.

შემოწმებით დადგინდა, რომ მთელ რიგ სასწავლო სახელოსნოებში დამონტაჟებული და ექსპლოატაციაშია გაშვებული უვარგისი, არასტანდარტული ჩარხები, რაც უდაოდ ქმნის მოსწავლეთა ტრავმატიზმის წარმოშობის გარდაუვალ საფრთხეს. კერძოდ, ჩხოროწყუს რაიონის სამ საშუალო სკოლაში—მუხურის, ლესიჭინესა და ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის სასწავლო სახელოსნოებში ექსპლოატაციაშია არასტანდარტული (კუსტარული წარმოების) სარანდი ჩარხები. ამასთან, მუხურის საშუალო სკოლის სასწავლო სახელოსნოში დამონტაჟებული საბურღი ჩარხის ღვედური გადაცემა მოკლებულია დამცავ საშუალებას, სადურგლო დაზგების თითქმის ნახევარი მოითხოვს შეკეთებას ან მთლიან შეცვლას, ხოლო ქვედა ჩხოროწყუს

საშუალო სკოლის სასწავლო სახელოსნოში არსებული ხის სახარატო ჩარხის ღვედური გადაცემა და კომბინირებული მრგვალხერხა ჩარხის ხერხი და დანების ლილვი საჭიროებენ დამცავ გარსაცმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხოროწყუს, მარნეულისა და სიღნაღის რაიონების არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე; არ არის გაფორმებული შეთანხმებები სკოლის ადმინისტრაციასა და პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებს შორის შრომის დაცვის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის არ არის გაფორმებული აქტები კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების მზადყოფნაზე. ჩარხები დამონტაჟებული არ არის სტაციონარულ სადგარებზე, ხშირ შემთხვევაში მათი ექსპლოატაცია ხდება დამცავი დამიწების გარეშე. არ ხდება დამცავი დამიწების წინაღობისა და იზოლაციის ყოველწლიური შემოწმება. არ ტარდება ელექტროდენის გამანაწილებელი ფარების პროფილაქტიკური გასინჯვა; სათანადო ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაუფლებაზე ინსტრუქტაჟების ჩატარებას; სუსტად ან სულ არ ტარდება მომეტებული საშიშროების უბნებზე მომსახურე პერსონალის სწავლება-ატესტაცია.

სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებსა და სასწავლო სახელოსნოებში არ არის შემუშავებული და გამოკრული ინსტრუქციები უსაფრთხოების ტექნიკის წესებზე, იგრძნობა სასწავლო-თვალსაჩინო სააგიტაციო პლაკატების სიმცირე და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლა-ინტერნატებმა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა:

ა) შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1971 წლის 24 დეკემბრის № 101 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით

„სსრკ განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის დაცვის სამსახურის ორგანიზაციის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ 1976—1980 წლებისათვის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესების საკითხებზე;

გ) სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, პროფკავშირის პრეზიდიუმისა და ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა, მოისმინონ ამ საკითხებზე პასუხისმგებელ მუშაკთა: სასკოლო ინსპექტორების, სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეების, სასწავლო სახელოსნოების გამგეებისა და შრომის მასწავლებელთა თვითანგარიშები; დასახონ ქმედითი ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლი და ზედამხედველობა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა დაცვაზე;

ბ) უზრუნველყონ სასწავლო სახელოსნოები გამართული ხელის იარაღებითა და ჩარხებით; ექსპლოატაციაში არ დაუშვან იმ ჩარხებისა და ელექტროდანადგარების გაშვება, რომლებიც მოკლებულნი იქნებიან დამცავ საშუალებებსა და მათი ელექტროძრავის კორპუსები არ იქნება დამიწებული; სპორტდარბაზში მოახდინონ არსებული ცენტრალური გათბობის რადიატორების დახურვა დამცავი ხის ღობურებით და მოქმედებაში მოიყვანონ საშხაპოები და საგარდეროზოები;

გ) გააუმჯობესონ უსაფრთხოების ტექნიკის წესების სწავლება და ინსტრუქტაჟის ჩატარების ხარისხი;

დ) უზრუნველყონ ჩარხებისა და ელექტროდანადგართა დამცავი დამიწების წინაღობისა და იზოლაციის ყოველწლიური შემოწმება; თვეში ერთხელ ჩაატარონ ელექტროდენის გამანაწილებელი ფარების პროფილაქტიკური გასინჯვა; საქვაბე დააკომპლექტონ საჭირო საკონტროლო-საზომი ხელსაწყო-იარაღებით;

ე) პერიოდულად ჩაატარონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხების ამსახველი ფილმების ჩვენება და ლექცია-საუბრები;

ვ) ყოველი მომხდარი ტრავმატული შემთხვევის გა[illegible] აწარმოონ დებულების — „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ“ შესაბამისად (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 11—12);

ზ) ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გააფორმონ შეთანხმებები შრომის დაცვის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებაზე (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 10).

3. დაევალოთ ჩხოროწყუს რაიონის მეხურის, ლესიჭინესა და ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლების დირექტორებს (ამხ. ამხ. კ. ჩიქოვანი, ა. ხორავა, ა. სიჭინავა) მოახდინონ სასწავლო სახელოსნოებში არსებული არასტანდარტული სარანდი ჩარხების დემონტაჟი.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მარნეულის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და მიიღო სათანადო ზომები.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი მკაცრად აფრთხილებენ რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საქმეში უპასუხისმგებლობის გამოჩენისა და მოსწავლეთა უბედური შემთხვევების გამო პერსონალური პასუხისმგებლობა პირადად მათ დაეკისრებათ.

| | |
|---|---|
| განათლების მინისტრი<br>**თ. ლაშქარაშვილი** | განათლების, უმაღლესი სკოლისა და<br>სამეცნიერო დაწესებულებების<br>მუშაკთა პროფკავშირის<br>რესპუბლიკური კომიტეტის<br>თავმჯდომარე **დ. იოსელიანი** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 4 თებერვლის ბრძანება № 88

### ქ. რუსთავის სალამოს პირველი საშუალო სკოლის დირექტორ ლ. სიჭინავას მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევის შესახებ

შემოწმებამ ცხადყო, რომ ქ. რუსთავის სალამოს (ცვლიანი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. სიჭინავამ 1974—1975 სასწავლო წელს მე-8 კლასში ჩარიცხა ლენტეხის რაიონის სოფ. რცხმელურის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ჟუჟუნა ტვილდიანი, რომელიც ამავე დროს არსად არ მუშაობდა.

რვა კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე ჟ. ტვილდიანი საცხოვრებლად დაბრუნდა თავის სოფელში და 1975—1976 სასწავლო წლის დასაწყისში განცხადებით მიმართა რცხმელურის საშუალო სკოლის დირექტორს მე-9 კლასში ჩარიცხვის შესახებ მაშინ, როდესაც მისი თანაკლასელები მე-8 კლასში სწავლობენ.

ქ. რუსთავის სალამოს (ცვლიანი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორ ლ. სიჭინავას მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევის სალიკვიდაციოდ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. რუსთავის სალამოს (ცვლიანი) პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ლ. სიჭინავა დღის სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ჟ. ტვილდიანის მე-8 კლასში უკანონოდ ჩარიცხვისათვის იმსახურებს მოხსნას, მაგრამ მხედველობაში ვიღებ რა მის ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობასა და სალამოს სკოლის დირექტორად 14 წლის მუშაობას, რომლის განმავლობაში ის არ იყო შემჩნეული რაიმე დარღვევაში, ვუცხადებ ლ. სიჭინავას სასტიკ საყვედურ უკანასკნელი გაფრთხილებით.

2. გაუქმდეს ქ. რუსთავის სალამოს (ცვლიანი) პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილება ქ. ტვილდიანის რვა კლასის დამთავრების მოწმობის გაცემის შესახებ; ნება დაერთოს ქ. ტვილდიანს, განაგრძოს სწავლა ლენტეხის რაიონის რცხმელურის საშუალო სკოლის მერვე კლასში.

3. დაევალოთ რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს მოსწავლეთა სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩარიცხვის საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ მოქმედი ინსტრუქციებით.

4. აღნიშული ბრძანება გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 29 იანვრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ № 98
## ОТ 5 ФЕВРАЛЯ 1976 г. МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О постановке преподавания родного языка и литературы в общеобразовательных школах с русским языком обучения Цалкского района в свете Постановления ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР от 10 июля 1973 г. „О состоянии преподавания русского языка в учебных заведениях республики и мерах по его улучшению“**

Рассмотрев материалы проверки, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что в Цалкском районе преподаванию русского языка и литературы в общеобразовательных школах с русским языком обучения уделяется определенное внимание.

Прослушанные уроки показали добросовестное отношение к делу, вполне удовлетворительные знания по своему предмету и методике его преподавания учителей: Чилова Г. И., Балабанова В. А. (Авранлойская средняя школа), Куюмцидиса И. П. (Цалкская средняя школа № 2), Полихроновой Л. А. (Цалкская средняя школа № 1), Илиджева С. А. (Джинисская средняя школа), Илиджева Л. Г., Губской А. И. (Едикилисская средняя школа), Магдалянова Ф. А. (Тяккилисская восьмилетняя школа), Михайлова К. К. (Храмгэсская средняя школа).

Поиски наиболее эффективных приемов обучения, умение активизировать учащихся замечены на уроках Баязова А. П. (Едикилисская средняя школа), Проценко В. Г. (Цалкская средняя школа № 3), Чамурова В. В. (Авранлойская средняя

школа), Чамурлиевой Е. Г. и Шейрановой Л. М. (Цалкская средняя школа № 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Опрошенные учащиеся проверенных школ показали удовлетворительные знания по изученному грамматическому материалу.

Планомерно работают методические объединения словесников всех проверенных школ. В планы работы включены актуальные темы, продиктованные запросами данных школ. Проводятся открытые уроки с последующим их разбором.

В планах работы педсоветов, производственных совещаний предусмотрены проведение общешкольных контролных работ по русскому языку, изучение постановки преподавания этого предмета в школе в целом и отдельных вопросов, связанных с ним.

Наряду с положительными сторонами, коллегия отмечает и существенные недостатки в преподавании русского языка и литературы в школах района, которые были обнаружены и при повторной проверке отдельных школ.

Из 97 учителей русского языка Цалкского района прошли курсы переподготовки в последние 5 лет только 26 человек.

В русских школах района нет кабинетов русского языка и литературы, кроме Триалетской средней школы, где они не оборудованы.

На прослушанных уроках не использовались наглядные пособия и технические средства, имеющиеся в школе (Храмгэсская средняя школа, Триалетская средняя школа, Кярякская средняя школа и др.).

Большинство учителей—словесников в своей устной речи нарушает фонетические нормы русского языка и допускает специфические интонационные ошибки.

Ученики слабо владеют русской разговорной речью и допускают те же специфические ошибки, что их учителя.

Речь школьников трудно воспринимается слушателями из-за монотонности и бесцветности, что свидетельствует об отсутствии работы по обучению выразительному чтению.

На уроках языка и литературы не проводится целенаправленная систематическая словарная работа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Не повторяется ранее пройденный материал, не проводится синтаксический и морфологический разбор предложения и разбор слова по составу.

Низка частота опроса на уроках языка и в особенности литературы, что ведет к резкому понижению качества выполнения домашних заданий.

В некоторых случаях учителя не вносят своевременно оценки в классные журналы и тем самым создают ложную картину опроса и выполнения норм письменных работ, а главное, лишают родителей возможности своевременно узнавать об успехах своих детей.

Например, учительница Гуниакальской средней школы тов. Илгджева Е. Е. с начала 1975—1976 учебного года (за $3\frac{1}{2}$ месяца) не выставила ни одной оценки по русскому языку в журнал 10 класса. Таким образом, страница, отведенная на учет успеваемости по русскому языку, в момент проверки (17.XII-75 года) оставалась совершенно пустой. Это дает право сделать заключение о том, что уроки русского языка в данной школе не проводятся.

Новые „Нормы оценки"... и „Единый орфографический режим" учителями района не соблюдаются.

Сочинения учащихся старших классов по своему содержанию бедны.

Работа над ошибками в классе учителями проводится неправильно, она сводится к списыванию слов и словосочетаний.

Не проверяются тетради для классных и домашних работ, что препятствует повышению уровня грамотности учащихся и культуры письма.

Уроки литературы проводятся на низком методическом уровне: не освоены приемы работы над текстом художественного произведения, комментирующее чтение текста подменяется пересказом его содержания без всякого анализа

(Демурчев А. Ф.—Кярякская средняя школа; Кабиров Ф. В.—Храмгэсская средняя школа и др.).

Внеклассная работа словесниками ряда школ не проводится (Цалкская средняя школа № 3, Гуниакальская, Триалетская, Олянкская, Ахаликская средние и Н-Харабинская 8-летняя школы).

Часы, отведенные для факультативных занятий, используются как дополнительные уроки русского языка или литературы на которых преодолевается отставание по программе

Роль школьных библиотек сведена к выдаче и приему книг. Не ведется пропаганда книги в содружестве со словесниками.

Руководители некоторых школ не уделяют должного внимания вопросам преподавания русского языка и литературы. Например, директор Таккилисской средней школы тов. Костанов И. Г. в текущем учебном году прослушал всего 2 урока, а завуч Триалетской средней школы тов. Анастасов Ф. В.—4 урока языка и литературы.

Анализ уроков в большинстве случаев не отличается глубиной и не приносит существенной пользы учителям.

Поурочные планы учителей не просматриваются членами администрации и поэтому пишутся несистематически, что приводит к низкому качеству уроков и стихийному, незапланированному опросу учащихся (Гуниакальская, Храмгэсская Триалетская, Авранлойская и др. школы).

В отдельных случаях имеет место нарушение администрацией школы установленного порядка распределения уроков. Так, в Цалкской средней школе № 3 (директор Калайчев А. А.) уроки русскоко языка в IV² классе (6 часов) ведет учительница Элиашвили Н. Т., а уроки литературы в том же классе (2 часа)—Проценко В. Г.

Некоторые учителя отличаются плохой специальной подготовкой и не выполняют своих прямых обязанностей. Например, учитель Кярякской средней школы тов. Демурчев А. Ф. в день проверки нарушил самовольно расписание уроков, явился на работу без поурочного плана и уроки провел на крайне низком методическом уровне.

В текущем учебном году после смены заведующего еще не налажена работа методического кабинета РОНО (зав. Чамурлиева В. Г.).

С целью повышения качества обучения русскому языку и литературе в школах Цалкского района,

П р и к а з ы в а ю:

1. Отделу народного образования Цалкского района (тов. Микадзе Б. А.):

а) обеспечить прохождение курсов переподготовки всеми словесниками, не прошедшими этих курсов в течение последних 5 лет;

б) оказать помощь школам в создании кабинетов русского языка и литературы, обеспечении их методической литературой и техническими средствами;

в) периодически изучать работу школьных библиотек по организации внеклассного чтения школьников;

г) обеспечить проведение полноценных факультативных занятий в соответствии с государственной программой во всех школах района;

д) планомерно изучать постановку преподавания русского языка и литературы в школах района и принимать действенные меры по повышению качества работы словесников;

е) уделить серьезное внимание изучения постановки внутришкольного контроля с последующим обсуждением результатов на заседании Совета РОНО;

2. Методическому кабинету РОНО (тов. Чамурлиевой В. Г.) организовать семинары для словесников по вопросам: работа над текстом художественного произведения; работа над ошибками в изложениях и сочинениях; уроки внеклассного чтения; организация факультативных занятий.

3. Руководителям школ Цалкского района:

а) систематически повышать свои знания в области педагогики и общей методики преподавания русского языка и литературы; учиться правильно и глубоко анализировать

прослушанные уроки с целью оказания учителям существенной помощи;

б) установить контроль за систематическим самообразованием учителей;

в) добиться выполнения всеми учителями требований „Единого орфографического режима“ с целью повышения грамотности учащихся и культуры письма;

г) усилить контроль за выполнением норм письменных работ и учетом знаний учащихся; обеспечивать своевременное выставление оценок в классные журналы;

д) наметить действенные меры по улучшению качества уроков внеклассного чтения;

е) обеспечить систематическое проведение дополнительных занятий с учетом индивидуальных пробелов каждого отстающего ученика;

ж) наладить работу кружков русского языка и литературы.

4. Учителям русского языка и литературы:

а) постоянно работать над совершенствованием своей разговорной речи, сверяясь с произношением дикторов центрального телевидения;

б) на уроках языка и литературы систематически пополнять лексический запас учащихся и проводить работу по развитию навыков связной речи;

в) вырабатывать у учащихся навыки грамотного письма путем увеличения количества тренировочных письменных упражнений в процессе закрепления на уроке;

г) систематически проводить морфологический и синтаксический разбор предложения;

д) увеличить частоту опроса на уроках языка и литературы, используя различные приемы проверки знаний учащихся;

е) с целью повышения ответственности школьников за качественное выполнение домашних работ в соответствии с требованиями „Единого орфографического режима“;

ж) проводить больше диктантов, изложений и сочинений обучающего характера, учитывая, что обучение должно преобладать над контролем;

з) уделять должное внимание работе над приемами выразительного чтения;

и) изготовлять силами учащихся наглядные пособия для уроков языка и литературы и широко применять все виды наглядности; научиться пользоваться имеющимися в школе ТСО;

к) с целью обеспечения качественного выполнения учащимися домашних заданий более детально разбирать на уроке материал, задаваемый на дом самостоятельной работы и указывать приемы его изучения.

5. За слабую работу учебной части и отсутствие контроля за состоянием классных журналов директора Гуниакальской средней школы тов. Келасова А. П. предупредить, заместителю директора по учебно-воспитательной работе тов. Алиевой Э. А. объявить выговор.

6. За безответственное отношение к учету знаний учащихся и ведению классной документации учительнице русского языка и литературы Гуниакальской средней школы тов. Илиджевой К. Е. объявить выговор.

7. Цалкскому РОНО (тов. Микадзе Б. А.): за грубейшее нарушение правила распределения уроков русского языка и литературы вопрос директора Цалкской средней школы № 3 тов. Калайчева А. А. и его заместителя по учебно-воспитательной работе тов. Поповой В. М. рассмотреть на Совете РОНО и строго наказать их.

О результатах доложить Министерству просвещения.

8. За недобросовестное отношение к своим прямым обязанностям учителю русского языка и литературы Кярякской средней школы тов. Демурчеву А. Ф. объявить строгий выговор.

Обязать зав. Цалкским РОНО тов. Микадзе В. А. в конце учебного года проверить работу тов. Демурчева А. Ф. и в случае выявления тех же методических ошибок и безответственного отношения к делу, поставить вопрос об освобождении тов. Демурчева А. Ф. от работы в школе с соблюдением установленных правил.

9. Данный приказ обсудить на заседаниях педсоветов школ, Совета Цалкского РОНО и принять меры для преодолевания вышеуказанных недостатков в преподавании русского (родного) языка и литературы.

Цалкскому РОНО (тов. Микадзе Б. А.) 30 мая 1976 года представить в Министерство записку о проделанной работе по устранению отмеченных в данном приказе недостатков.

10. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.) и Управлению методики и учебников (тов. Мнатобишвили Л. С.) составить инструктивное письмо о количестве письменных работ (обучающих и контрольных) за четверть по каждому классу.

11. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.) проконтролировать выполнение настоящего приказа.

**Основание:** Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 29 января 1976 года.

Министр **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 16 თებერვლის ბრძანება № 129

### თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში მომხდარი შემთხვევის შესახებ

1975 წლის 27 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, მუსიკალური სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში აღმოჩნდა დაუდგენელი ვინაობის მამაკაცი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე დადიოდა მძინარე ბავშვთა შორის და მხოლოდ გამოღვიძებული და დამფრთხალი აღსაზრდელების ხმაურზე დატოვა საძინებელი კორპუსი. ეს შესაძლებელი გახდა სკოლა-ინტერნატის თანამშრომლების — დარაჯის რ. მონასელიძის, ღამის ძიძების ფ. გოგოლაძისა და მ. ლომსაძის დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად.

სკოლა-ინტერნატის დირექციამ დაარღვია საგანგებო შემთხვევებზე ზემდგომი ორგანოებისადმი ინფორმაციის მიწოდების არსებული წესი და განათლების სამინისტროს არ აცნობა ამ შემთხვევის შესახებ.

მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში მომხდარი ეს ინციდენტი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნატის თანამშრომელთა ერთი ნაწილი, რომელთაც ღამის საათებში ბავშვთა მყუდროებისა და უსაფრთხოების დაცვა ევალებათ, დანაშაულებრივი უდარდელობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. თავის მხრივ, სკოლა-ინტერნატის დირექცია ვერ უწევს მათ სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს მუშაობის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატის დირექციამ (დირექტორი ამხ. ე. თოდუა)
ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ღამის საათებში

სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთა მიერ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულების საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაჭრით აამაღლოს თანამშრომელთა შორის შრომითი დისციპლინა. სისტემატურად გააკონტროლოს მათი მუშაობის ხარისხი და გამოვლინებული დარღვევების შემთხვევაში ამ მუშაკებს დაადოს მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი;

გ) სათანადო რეაგირების გარეშე არ დატოვოს სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა მიერ უდისციპლინობის გამოვლენის არცერთი შემთხვევა, ხოლო საგანგებო შემთხვევების დროს სასწრაფოდ აცნობოს მის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

2. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციამ აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით გაატარა სათანადო ღონისძიებანი—თანამდებობიდან მოხსნა ღამის დარაჯი რ. მონასელიძე, სასტიკი საყვედური გამოუცხადა ძიძებს: ვ. ჭოგოლაძესა და მ. ლომსაძეს, მითითება მისცა კომენდანტ გ. ირემაშვილს. გატარებულ იქნა სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებებიც.

3 სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ე. თოდუას სსრ კავშირის 1968 წლის 28 მაისის № 40 საინსტრუქციო წერილის—„საგანგებო შემთხვევებზე ზემდგომი ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენის შესახებ“ წესის დარღვევისათვის მიეთითოს.

4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი ინტერნატულ დაწესებულებებში მსგავს შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, ხოლო საგანგებო შემთხვევის შესახებ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ზემდგომ ორგანოებს. განათლების სამინისტროს 1976 წლის 27 იანვრის № 50 ბრძანებით—„საგანგებო შემთხვევებზე ინფორმაციის წარდგენის შესახებ“ დადგენილი წესის მიხედვით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 29 იანვრის დადგენილება.

**მინისტრი თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 16 თებერვლის ბ ძანება № 133

### 1975 წლის შორეული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შედეგებისა და 1976 წელს ნათი კონკურსგარეშე მიღების შესახებ

გაეეცანი რა 1975 წელს შორეული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის № 463 დადგენილებისა და საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 21 თებერვლის № 17 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს სსრ პედინსტიტუტებში შორეული სოფლის სკოლების კურსდამთავრებულების კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის გეგმით გამოყოფილი იყო 217 ადგილი, მათ შორის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში—47 ადგილი; თბილისის უცხოური ენების პედინსტიტუტში—30, სოხუმის პედინსტიტუტში—29; ბათუმის პედინსტიტუტში—26, თელავის პედინსტიტუტში—21.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და 25 რაიონის განათლების განყოფილების მიერ შერჩეულ და პედინსტიტუტებში მივლინებულ იქნა 303 აბიტურიენტი, ნაცვლად 217-ისა. გამოცდების ჩაბარების შემდეგ აღნიშნულ პედინსტიტუტებში ჩარიცხულია 67 ახალგაზრდა, მათ შორის: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედინსტიტუტში—4, თელავის პედინსტიტუტში—2; გორის პედინსტიტუტში—5; ბათუმის პედინსტიტუტში—24; სოხუმის პედინსტიტუტში—9 და ცხინვალის პედინსტიტუტში—8 ახალგაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ კარგად შეასრულა მასზე დაკისრებული

ვალდებულება 1975 წელს შორეული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის საქმეში, რის შედეგად ბათუმის პედინსტიტუტში გეგმით გათვალისწინებული 26 აბიტურიენტიდან ჩარიცხულ იქნა—24.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების განათლების განყოფილებების მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები:

ზოგიერთი რაიონის, მაგალითად, ადიგენის, ახმეტის, ბოლნისის, ყაზბეგის, საჩხერის, თეთრიწყაროსა და ცაგერის განათლების განყოფილების მიერ მოვლინებულმა აბიტურიენტებმა გამოიჩინეს მომზადების დაბალი დონე და კონკურსგარეშე ვერ ჩაირიცხნენ მითითებულ პედინსტიტუტებში, რაც გულისხმობს განათლების ორგანოების ფორმალურ დამოკიდებულებას შემსვლელთა შერჩევისა და მათდამი დახმარების გაწევაში.

იყო შემთხვევები, როდესაც რაიონის განათლების განყოფილებები პედინსტიტუტებში მივლინებებს აძლევდნენ უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, მაგ: დმანისის რაიონის განათლების განყოფილების მიერ პედინსტიტუტებში, 15-ის ნაცვლად, მივლინებული იყო 19 აბიტურიენტი, მათგან ჩარიცხულ იქნა მხოლოდ 1; ონის რაიონის განათლების განყოფილების მიერ, 6-ის ნაცვლად; მივლინებულ იქნა 10 აბიტურიენტი, რომელთაგან ასევე ჩაირიცხა მხოლოდ 1.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებას აუთვისებელი დარჩა ადგილები პედინსტიტუტებში:

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედინსტიტუტში—ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებას—თითო ადგილი რუსული ენისა და ლიტერატურის და დაწყებითი განათლების ფაკულტეტებზე;

თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტში—ქარელისა და ადიგენის რაიონის განათლების განყოფილებებს—თითო ადგილი ფრანგული ენის ფაკულტეტზე.

თელავის პედინსტიტუტში—ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებას—ერთი ადგილი რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე;

გორის პედინსტიტუტში—ადიგენის რაიონის განათლების განყოფილებას—1 ადგილი დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე; ასპინძის რაიონის განათლების განყოფილებას—1 ადგილი ფიზიკის ფაკულ-

ტეტზე; ახალქალაქს—თითო ადგილი მათემატიკისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარელის, წალკისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა, ნაცვლად შორეული სოფლის საშუალო სკოლადამთავრებულებისა, ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში კონკურსგარეშე გამოცდების ჩასაბარებლად მოავლინეს ქალაქის ტიპის დასახლების—ქარელის, წალკისა და ორჯონიკიძის სკოლების კურსდამთავრებულები.

ზნაურის განათლების განყოფილებამ უარი განაცხადა ცხინვალის პედინსტიტუტში აბიტურიენტთა კონკურსგარეშე ჩარიცხვისათვის ლიმიტის მიღებაზე.

განათლების განყოფილებების მიერ, გარდა აჭარის ასსრ რესპუბლიკისა, სათანადო მუშაობა არ არის ჩატარებული პედინსტიტუტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის კავშირის დამყარებისათვის.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც აბიტურიენტს წესრიგში არ ჰქონდა საბუთები, ე. ი. არ ჰქონდა 2 წლის მუშაობის სტაჟი ან შემდგომლობა დახასიათება სათანადო ორგანიზაციებიდან, ნიშანი „4"—მ პროფილებელ საგნებში, რის გამო უარი ეთქვა გამოცდების ჩაბარებაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

2. მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1973 წლის თებერვალს დამტკიცებული (დღემდე მოქმედი) ერთობლივი ინსტრუქციით—შორეული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის კონკურსგარეშე მიღების წესის შესახებ;

ბ) მიიღონ სათანადო ზომები აღნიშნული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის და დასახონ სათანადო ღონისძიებები აბიტურიენტების შემდგომი მომზადებისა და 1976 წელს პედინსტიტუტებში ჩარიცხვისათვის;

გ) ხელი შეუწყონ პედინსტიტუტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, განსაკუთრებით სოფლის სკოლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო დაწესებულებების ურთიერთკავშირის განმტკიცებას, აღნიშნულ პედინსტიტუტებში სოფლის საუკეთესო ახალგაზრდობის, აქტივისტი კომკავშირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების, მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულთა მიზიდვას.

ორგანიზაცია გაუკეთონ კურსებზე იმ ახალგაზრდების მომზადებასა და პროფორიენტაციას, რომლებმაც გასულ წლებში დადებითი შეფასება მიიღეს, მაგ. როგორიცაა: „მომავალი პედაგოგების", „ნორჩი მათემატიკოსების", „ფიზიკოსების", „ქიმიკოსების" და სხვათა ფაკულტეტები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების ხელმძღვანელებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა მიიღონ ქმედითი ზომები 1976 წლისათვის შორეულ სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმის შესრულებისათვის; ხელი შეუწყონ პედინსტიტუტებს კონკურსგარეშე მისაღები ახალგაზრდობისათვის სპეციალური მოსამზადებელი კურსების მოწყობის საკითხში.

3. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პედინსტიტუტებთან ერთად, პირადად გაიცნონ აბიტურიენტები, რომლებიც მივლინებულნი არიან პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩასარიცხავად.

4. გაფრთხილებულ იქნენ ადიგენის, ახმეტის, ბოლნისის, ყაზბეგის, საჩხერის, თეთრიწყაროსა და ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებების გამგეები 1975 წელს სოფლის ახალგაზრდობის კონკურსგარეშე ჩარიცხვის გეგმის შეუსრულებლობისათვის.

5. აღნიშნულ იქნეს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს კარგი მუშაობა შორეული სოფლის რაიონების ახალგაზრდობის შერჩევისა და ბათუმის პედინსტიტუტში ჩარიცხვისათვის.

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) დააწესოს სათანადო კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 29 იანვრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 137

კომუნისტური მორალის ნორმების დაფუძნებისა და მავნე ტრადიცია-წესჩვეულებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 11 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში უკვე ტარდება ღონისძიებანი, რათა ყოველდღიურ სასწავლო-საღმზრდელო მუშაობაში კუთვნილი ადგილი დაეთმოს „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების თანმიმდევრულად განხორციელებას.

ჩვენს საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში და, კერძოდ, ახალგაზრდობის ყოფაში დამკვიდრებული მავნე ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების დაძლევისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული. რიგი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ყურადღების ცენტრშია მოქცეული თანმიმდევრული, გეგმაზომიერი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შეგნებასა და ყოფაში სოციალისტური თანაცხოვრების ზნეობრივი ნორმების დანერგვა, დრომოჭმული ყოფითი გადმონაშთების კლასობრივი არსის მხილება, მოსწავლეთა ცნობიერად გარკვევა იმაში, რომ ისეთი ადათ-ჩვეულებანი, როგორიცაა დაბადების დღის, ქორწინების, ოჯახის წევრის გარდაცვალების, მისი გახსენებისა და ოჯახური თუ პირადი მნიშვნელობის სხვადასხვა თარიღების გამორ-

ჩეული სახით აღნიშვნა და მასთან დაკავშირებული ფუქსავატური ჩვეულებანი და შემოწირულებანი აქვეითებს საბჭოთა ადამიანთა შორის არსებული კოლექტიური ურთიერთობის მორალურ საწყისს, სახელს უტეხს და აკნინებს პიროვნულ ღირსებას, ხელს უშლის და აბრკოლებს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ-მორალური სრულყოფას, მისი კულტურის დონის შემდგომ ამაღლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობა ამ სფეროში არც მასობრიობის, მისი რაოდენობრივი სისრულისა და არც ამ მხრივ განხორციელებულ ღონისძიებათა სიღრმის თვალსაზრისით სრულებითაც არაა იმ ზომისა და ძალის, რომ მათი მეშვეობით რეალურად იქნეს განმტკიცებული სოციალისტური თანაცხოვრების მორალური ნორმები და ბოლომდე აღმოფხვრას მათ წინააღმდეგ მიმართული მავნე, უარყოფითი ყოფა-ცხოვრებითი მოვლენები.

ჩვენი სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ძირითადი ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ განახორციელონ თანმიმდევრული საგანმანათლებლო და საალმზრდელო ღონისძიებანი ოჯახურ ყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სტიქიურად შემოჭრილი და უკვე ადათ-წესად ქცეული, სოციალისტური თანაცხოვრების მაღალ მორალურ ნორმებთან უხეშად დაპირისპირებულ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, რომ პედაგოგიური კოლექტივების საკმაოდ დიდი ნაწილი თვითონ იმყოფება სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებთან შეუთავსებელ ადათ-ჩვეულებათა გავლენის ქვეშ, მოკლებულია ზომიერების გრძნობას, არ შესწევს უნარი, კრიტიკულად შეაფასოს ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და შეგნებულად დარაზმოს მოსწავლე ახალგაზრდობა არაჯანსაღ საზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რაც ასერიგად უშლის ხელს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდა-ჩამოყალიბებას მაღალი სოციალისტური მორალური სულისკვეთებით.

მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ამ ფრიად პასუხსაგები სფეროსადმი ზერელე, გულგრილი დამოკიდებულების ბუნებრივი შედეგია ის, რომ ბავშვთა და მოზარდთა შორის ცალ-ცალკე და მათ სასკოლო კოლექტივებში დღემდე არაა გამომუშავებული მკვიდრი, ჯანსაღი ინტერესი რევოლუციური, საბრძოლო დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღირსსახსოვარი სახალხო დღეებისა და ზეიმებისადმი — ამავე მიზეზით ისეთი ღირსსახსოვარი დღეები, როგორიცაა დაბადების დღე, სკოლის დამთავრება, სკოლის ახალი შენობის აგება და სხვ. ტრაფარეტულად'

უინტერესოდ, სუფრაზე არაზომიერი მოლხენის სახით ტარდება და არის ოჯახები, რომლებიც შვილების დაბადების დღეს შემოსავლის წყაროდ თვლიან და ბავშვებში ნივთებისადმი ხარბი დამოკიდებულების მისწრაფებას ზრდიან; არის სკოლები, რომლებშიც გამოსაშვები საღამოები ძვირადღირებულ წვეულებად არის გადაქცეული, ნაცვლად იმისა, რომ იგი წარმოადგენდეს მოსწავლეთა მიერ სწავლასა და შრომაში პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ფრონტზე, ესთეტიკურ აღზრდასა და ფიზკულტურულ საქმიანობაში მოპოვებული მიღწევების დათვალიერებას, ცხოვრების ფართო ასპარეზზე მოსწავლეთა გამოსვლის აღმნიშვნელ ღირსსახსოვარ დღესასწაულს.

ამას თან ერთვის ზომიერების გრძნობის სრული თუ ნაწილობრივი უკმარობა, რაც მკაფიოდ იჩენს თავს მოსწავლეთა ჩაცმა-დახურვასა თუ გარეგნული ქცევის ფორმების მხრივ. ზოგიერთ სასკოლო კოლექტივში საქმე ამ მხრივ იმდენად მერყევ ნიადაგზეა დაყენებული, რომ გაფრთხილებებს მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა მხრივ მოსწავლენი და, არც თუ იშვიათად, მათი მშობლებიც სრულებითაც არ უგდებენ ყურს, ხოლო ზოგან ცალკეული მასწავლებლები შეუფერებელი ტანსაცმლითა და მოკაზმულობით თვითვე აქეზებენ მოსწავლეებს, აბუჩად აიგდონ სკოლის, როგორც მეცნიერებისა და აღზრდის კერის შინაგანაწესი, მისი ღირსება და ავტორიტეტი.

სასკოლო დღესასწაულების ჩატარებისა, პირადი დღეობების აღნიშვნისა, ჩაცმა-დახურვისა და მოსწავლეთა თანაცხოვრების სხვა სფეროებში არსებული ამგვარი არაჯანსაღი გამოვლინებანი და თვითნებობანი მძიმე გავლენას ახდენს ბავშვთა და მოზარდთა შორის ბუნებითად არსებულ ფაქიზ, გულითად სიამტკბილობაზე, ზრდის მათ გარკვეულ ნაწილში მედიდურობის, ყოყოჩობის, განკერძოებულობის განწყობილებას, ხელს უწყობს დაჯგუფებებს, დაპირისპირებებს, ბზარი შეაქვს მეგობრულ ურთიერთობაში. ამგვარი გამოვლინებანი აქვეითებენ ბავშვთა და მოზარდთა კოლექტიურ ნებას, კოლექტიურ ერთიანობას, რასაც ასერიგად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხნე, ჯანსაღი, ზნეობრივი სულის, მტკიცე რწმენის, აქტიური, საერთო—სახალხო ინტერესებისათვის გამსჭვალული ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

მოსწავლე ახალგაზრდობაში მაღალი მორალური შეგნებისა და მრწამსის გამომუშავებას დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჰუმანიტარული საგნების—ქართული ენისა და ლიტერატურის; რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდ-

ნეობის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს მოსწავლეების მაღალი მორალური სულისკვეთებით აღზრდის მიზნით უნდა გამოიყენოს დიდებითი გმირების ცხოვრება და თავგადასავალი რითაც ასე მდიდარია კლასიკური ლიტერატურა. ბევრ სკოლაში ფიზიკისა, ბიოლოგიისა და ქიმიის სათანადო თემებს ჯერ კიდევ ვერ უკავშირებენ მავნე ტრადიციების ანტიმეცნიერული არსის მხილებას. ფორმალურად და ზერელედ წარმოებს შესწავლა სასკოლო პროგრამებით გათვალისწინებული იმ მასალებისა, რომლებშიც იძლევიან საშუალებას, ვუჩვენოთ ტრადიციად ქცეული უარყოფითი ადათ-ჩვევების ანტიმეცნიერული, რეაქციული და კლასობრივი არსი, შინაგანად განვაწყოთ ისინი დრომოჭმული, საზოგადოებრივად საზიანო ტრადიციებისადმი და აღვკვეთოთ გზა მათი აღდგენისა სხვადასხვა ფორმითა და სახით. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მავნე ადათ-წესებისა და ტრადიციების გამომწვევი ფაქტორების შესწავლასა და ანალიზს, ცუდის გამორჩევას კარგისაგან, ცუდის დასაბუთებულად დაგმობასა და კარგის კულტივირებას თავის მხრივ სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელი—პიონერთა სასახლეები და სახლები, ბავშვთა ნატურალისტური და ტექნიკური სადგურები, საექსკურსიო ბიუროები დღემდე ვერ ახერხებენ იდეური თვალსაზრისით სწორი შეფასება მისცენ ისტორიულად შემუშავებულ და ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებულ ტრადიციებს, ცნობიერად განაწყონ ბავშვები და მოზარდები ცუდის, დრომოჭმულის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საზიანო ადათ-ჩვეულებების წინააღმდეგ და წარმტაცი, მიმზიდველი, საინტერესო ხასიათი მისცენ სოციალისტური ყოფის პირობებში შექმნილ სასახელო ტრადიციებს, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს სულიერად მხნე და ჯანსაღი, სამართლიანი, ფაქიზი, მაღალი იდეური მრწამსის მქონე ახალგაზრდების აღზრდისათვის.

სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მთელი სისრულით ვერ ახორციელებენ ყველა იმ მოთხოვნას, რაც მათ მიმართ არის წაყენებული. ხშირად მათ მიერ ჩატარებული ესა თუ ის ღონისძიება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს—არ ჩანს კომკავშირელის, პიონერის პირადი ინიციატივა, საქმისადმი სწრაფვის წყურვილი და ცოდნა. ასეთ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ღონისძიება ღონისძიებისათვის ჩატარებულა. გარდასულით კმაყოფილი უფროსები კი ვერც გრძნობენ, როგორ ამახინჯებენ მოზარდის მორალურ სამყაროს.

საბჭოთა ხალხის მორალური ყოფის საწყისებთან მისი შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ამოცანებთან შეხამებული ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საქმეზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ სკოლა დღემდე თანმიმდევრულად ვერ ახორციელებს იმ ღონისძიებებს, რასაც მას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა აკისრებს მშობლებზე ზეგავლენის სახით ბავშვების აღზრდისას კომუნისტური ზნეობის ნორმათა დაცვის სფეროში. ხშირად, ამ მხრივ, სკოლებსა და მშობელთა შორის ურთიერთობა მოკლებულია მიზანსწრაფულ იდეურობასა და საგნობრივ შინაარსს, ფორმალურ, ტრაფარეტულ ხასიათს ატარებს. არცთუ იშვიათად, ნაცვლად იმისა, რომ სკოლა წარმართავდეს ამ საქმეს, ხდება პირიქით — მშობელთა გარკვეული ჯგუფი თავს ახვევს სკოლას აღზრდის საერთო ინტერესებისათვის შეუსაბამო ნება-სურვილებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების მეთოდური ორგანოების, პედაგოგიური პრესის ძირითადი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიზანსწრაფულ, მწყობრ და გეგმიან ხასიათს არ ატარებს. ვთვლი რა, რომ ამ მხრივ მდგომარეობის არსებითად გამოსწორებისათვის აუცილებელია მტკიცე, ერთიანი, სისტემატური სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელება და ამ საქმიანობაში განათლების სისტემის ყოველი რგოლის აქტიურად ჩაბმა,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა, კლასის ხელმძღვანელებმა და აღმზრდელებმა:

— ყოველ პედაგოგიურ კოლექტივში შექმნან მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც კონკრეტული მდგომარეობისდა მიხედვით შეიმუშავებს კომპლექსურ გეგმას;

— მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მიზნით გაშალონ ფართო პროპაგანდისტული, სტაბილური მუშაობა, კონკრეტული გარემოდან აღებული ტიპური შეცდომების ღრმა ანალიზის გათვალისწინებით, კარგი მაგალითების გამომზეურებითა და ილუსტრირების ყველა შესაძლებელი საშუალების გამოყენებით.

ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების გააზრებულ, იდეურ - პოლიტიკურ საქმიანო-

ბიბლიოთეკა

ბას; მოზარდი თაობის მატერიალისტური, კომუნისტური იდეოლოგიის პოზიციებზე შეგნებულ, მტკიცე დადგომას, მათი სახით კომუნიზმის მომავალ მშენებელთა ჩამოყალიბებას;

—საქმის ღრმა ცოდნით დაეხმარონ მოზარდებს, რათა მათ უკეთ იზეიმონ ამხანაგის, თანაკლასელისა თუ თანასკოლელის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების წევრად მიღება, პიონერისა თუ ლენინური კომკავშირის დაბადების, დაჯილდოებისა და მათი გმირული ისტორიის აღმნიშვნელი სხვა მნიშვნელოვანი თარიღები;

—მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის წრთობის საქმიან და ლამაზ ზეიმად აქციონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ხალხისა და მსოფლიო პროლეტარიატის ყოველი დღესასწაული (დიდი ოქტომბერი, პირველი მაისი, 30 დეკემბერი—საბჭოთა კავშირის შექმნის დღე, კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა დაბადების დღეები, ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების თარიღი და სხვ.);

—ორგანიზებულად, შემოქმედებითი მიდგომით, იდეური და ესთეტური თვალსაზრისით მაღალ დონეზე ჩაატარონ ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისი—1 სექტემბრის, პირველი ზარის დღესასწაული. კეთილ ტრადიციად აქციონ სკოლაში პირველმოსულთა მოსწავლეებად კურთხევა, მოსწავლის ბილეთების საზეიმო გადაცემა;

—ყოველმხრივ ეცადონ, შეუქმნან ბუნებრივი, საქმიანი საფუძველი ახლადშობილი ლიტერატურული დღესასწაულების: „შოთაობის", „ილიაობის", „ვაჟაობისა" და „იაკობობის" დამკვიდრებას;

—გააძლიერონ ცრუ მრწამსის, რელიგიური ფანატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ათეისტური მუშაობა. გამართონ ამ მიმართებით დისპუტები, შეხვედრები მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან;

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაცმა-დახურვის საქმეს. ლენინური უბრალოება, სისადავე, ზომიერება, ჭეშმარიტი მშვენიერებისაკენ სწრაფვა დაუდონ ამ მიმართულებით მოზარდი თაობის პრინციპებსა და ესთეტიკურ შეხედულებებს; სკოლის ყოველი მუშაკი თავად გახდეს ამ თვალსაზრისით მოსწავლეთათვის სანიმუშო მაგალითი;

—რეალური, ნათელი პროპაგანდისა და ქმედითი ღონისძიებების მეშვეობით ბოლო მოუღონ წრეგადასულ დღეობებს, კურსდამთავრებულთა ძვირადღირებული, ტრაფარეტული საღამოებისა და დაუგეგმავი, სასწავლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით გაუმიზნავი ექსკურ-

სიების მოწყობას; ყოველი ასეთი საღამო, ყოველი ასეთი ექსკურსია უნდა გამომდინარეობდეს სწორი ზნეობრივი ნიადაგიდან და [illegible] ცხოვრების ნათელ ზეიმად უნდა იქცეს;

ბიბლიოთეკა

—რაც შეიძლება გააძლიერონ მშობელთა საკლასო და სასკოლო კომიტეტებთან მუშაობა, გააღრმაონ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან კონტაქტები, რათა ერთობლივი ძალით სწორად წარმართონ აღსაზრდელთა იდეურ-ზნეობრივი კონფერენციები, საჯარო მსჯელობის საგნად გაიხადონ ამ მიმართებით ზოგიერთი მშობლის მეშჩანური პოზიციები.

2. ყოველი საგნის მასწავლებელმა:

—სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემები მაღალ მეთოდურ დონეზე დაუკავშირონ მავნე ტრადიციების ანტიმეცნიერული არსის მხილებას. ნათლად უჩვენონ და გაარკვიონ მოსწავლე ახალგაზრდობა ტრადიციად ქცეული უარყოფითი ადათ-ჩვეულებების რელიგიურ და კლასობრივ ხასიათში;

—კლასგარეშე მუშაობისას წრეებისა და სექციების მუშაობის გეგმებში შეიტანონ საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება მამათა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების შესწავლას, მის პროპაგანდას.

3. სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებმა:

—გააძლიერონ ამ მიმართებით მხარეთმცოდნეობითი განყოფილებებისა და მუზეუმების მუშაობა. შექმნან მავნე ტრადიციებთან ბრძოლის საკუთარი საგუშაგოები და სახალხო ტრადიციათა შემსწავლელი სექციები, რომლებშიც მოსწავლეები გაარკვევენ ტრადიციათა წარმოქმნის, მორიგების, გაძლებისა და დამკვიდრების ფაქტორებს, მოაწყობენ სასწავლო-შემოქმედებით ექსკურსიებსა და ექსპედიციებს, დაამუშავებენ შესაბამის თემებსა და მოაწყობენ დისპუტებს, შეხვედრებს, გამოფენებს.

4. ბორის ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექციამ (ზ. ლომიძე):

—XXXI სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციის თემატიკაში დამატებით გაითვალისწინოს მავნე ტრადიციებთან და წესჩვეულებებთან ბრძოლის საკითხთა მთელი კომპლექსი. ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ისინი და დაუგზავნოს რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო განათლების განყოფილებებს;

5. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო და რესპუბლიკის განათლების რაიონულმა (საქალაქო), განყოფილებებმა:

ბიბლიოთეკა

—სასწრაფოდ შექმნან მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი კომისიები, რომლებმაც ორი კვირის მანძილზე უნდა შეიმუშაონ რაიონულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები და გადმოაგზავნონ განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოში (თ. ჟღენტი);

—ფართო, რაიონული მასშტაბი მისცენ და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც გამომდინარეობს მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებიდან;

—გააძლიერონ, გააღრმაონ და უფრო საზეიმო გახადონ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე დამკვიდრებული საერთოსახალხო მნიშვნელობის, უკვე საერთაშორისო რეზონანსის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დღესასწაულები, სოციალისტური ყოფის შესაფერისი მოქალაქეობრივი რიტუალები და ადათები.

—მაღალ მეთოდურ დონეზე ჩაატარონ მოსწავლეთა შინარაიონული სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, რომელთა მუშაობის თემატიკაში უცილობელ ადგილს დაიჭერს მავნე ტრადიცებთან ბრძოლისა და ახალი ტრადიციების დამკვიდრების საჭირო, აქტუალური საკითხები;

—დაამკვიდრონ, ფართო ხასიათი მისცენ საშემოდგომო შრომით დღესასწაულებს, რომლებიც ყველას წინაშე იქნება მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის ნათელი დემონსტრირება;

—მეტი სილამაზე, შინაარსი, შემოქმედებითი ხასიათი მისცენ მასწავლებლის დღეს (ოქტომბერი); ამ დღეს უნდა მოხდეს ახალბედა პედაგოგთა საზეიმო დალოცვა;

—რაიონული მასშტაბის ღონისძიებების სახით ჩაატარონ პასპორტების გადაცემა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც გახდებიან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქენი; ეს ღონისძიება უნდა გადაიქცეს რაიონის საზოგადოებრიობის მოწინავეთა, სასკოლო ცხოვრების ნამდვილ პოლიტიკურ ზეიმად;

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოლო-განყოფილებებმა:

—საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ და მკაცრი კონტროლი დააწესონ ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს პუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებასა და დამკვიდრებას;

—1977 წელს ერთობლივი ძალებით ჩაატარონ რესპუბლიკის ნორჩ მხარეთმცოდნეთა, ისტორიკოსთა, ლიტერატორთა, ფოლკლორისტთა და საზოგადოებათმცოდნეთა კონფერენცია დევიზით—„დრომოჭმულს—არა! ახალს—მწვანე გზა!“;

—მოამზადონ დამხმარე მეთოდური სახელძღვანელო ათეისტური სწავლებისათვის (მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველო—ლ. მნათობიშვილი, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო—თ. ჟღენტი) და მომავალი სასწავლო წლისათვის გადასცენ გამოსაცემად;

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (გ. საყვარელიძე);

—კაბინეტების სამეცნიერო თემატიკაში საპატიო ადგილი დაუთმოს მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლისა და კომუნისტური მორალის დაფუძნებისათვის პედაგოგიურად დასაბუთებული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

—გასწიოს საჭირო მოსამზადებელი მუშაობა საიმისოდ, რათა მასწავლებელთა რაიონული, საქალაქო რესპუბლიკური, სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციების თემატიკაში მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდამ კუთვნილი ადგილი დაიჭიროს;

—გამსვლელი სესიებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას გაითვალისწინოს ლექციების ჩატარება კვალიფიციური მუშაკების მონაწილეობით.

8. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, ქ, ქ. ქუთაისის, თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა მავნე ტრადიციების წინააღმდეგ და კომუნისტური მორალის ნორმების დაფუძნებისათვის მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა მჭიდროდ დარაზმვის მიზნით მათი

გადამზადებისას გაითვალისწინონ კვალიფიციური ლექციებისა და სხვა სახის ღონისძიებათა ჩატარება და ამავე მიზნით კონსულტაციებისა და სემინარების მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ სისტემატური ხასიათი მისცეს მავნე ტრადიციებისა და ადათ-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და კომუნისტური მორალის ნორმების დაფუძნების მიმართულებით საუკეთესოდ მომუშავე სკოლებისა და მასწავლებლების მოწინავე გამოცდილების განზოგადებას.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციამ და მასთან არსებულმა დარგობრივმა ჟურნალებმა გამოაქვეყნონ პედაგოგიური თვალსაზრისით სათანადოდ დასაბუთებული სტატიები მავნე ტრადიციების აღმოფხვრისა და მოსწავლეთა ყოფაში კომუნისტური მორალის დამკვიდრების შესახებ; დარგობრივმა ჟურნალებმა, ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, სათანადო ადგილი დაუთმონ ცალკეული სასკოლო საგნების სწავლების საალმზრდელო საქმიანობასთან ორგანულად დაკავშირების საკითხების გაშუქებას.

საალმზრდელო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევისათვის ოპერატიული დახმარების გაძლიერების მიზნით, გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისა“ და მისი დარგობრივი ჟურნალების აქტივის მონაწილეობით პერიოდულად მოეწყოს რაიონებში გამსვლელი სესიები და სემინარები.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მისცეს სათანადო მითითებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების რექტორატებს, რათა შესაფერისი კათედრების საკვლევ-სამეცნიერო მუშაობის გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს კომუნისტური აღზრდის აქტუალური პრობლემები და მათ შორის ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლისა და კომუნისტური მორალის დაფუძნებასთან დაკავშირებული, სკოლებში საალმზრდელო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით მომწიფებული საკვანძო საკითხები.

11. კონტროლი ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსა (ამხ. თ. ნი-

კოლაიშვილი) და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ჟღენტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 25 დეკემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 20 თებერვლის ბრძანება № 149

### სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკურ კონფერენციასთან დაკავშირებით)

ადამიანის აღზრდა დაბადებიდან იწყება,—აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან.

ჩავუნერგოთ ბავშვს მაღალზნეობრივი თვისებები, გრძნობა ყოველივე მშვენიერის, ნათელისადმი—ასეთია დევიზი სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციისა, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში 1976 წლის 29—30 იანვარს.

კონფერენციაზე გამახვილებული იყო ყურადღება თამაშზე, როგორც ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმის, დიდ როლზე, თვითნაკეთი სათამაშოების გამოყენების გზებსა და მნიშვნელობაზე, იმაზე თუ საბავშვო ბაღსა და ოჯახში თამაშისადმი სწორი ხელმძღვანელობით როგორ შეიძლება ბავშვებში დაინერგოს მაღალზნეობრივი თვისებები, ადრეული ასაკიდანვე აღმოიფხვრას მათში ეგოისტური, კერძომესაკუთრული და სხვა უარყოფითი, საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი ქცევები და ჩვევები.

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 400-ზე მეტი სკოლამდელი მუშაკის ნამუშევარი, რომელთა უმრავლესობა მაღალ მეთოდურ, პედაგოგიურ და ესთეტიკურ დონეზე იყო შესრულებული. ნამუშევრებში იგრძნობოდა სკოლამდელ მუშაკთა მიერ აღზრდის პროგრამის ღრმა ცოდნა, მის მოთხოვნებში სწორად წვდომისა და შემოქმედების უნარი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ სკოლამდელი მუშაკები გაეცნენ ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას.

ამასთან ერთად, კონფერენციაზე აღინიშნა იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლამ-

შლი დაწესებულების მუშაობისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ჯერ კიდევ ნაკლებად ინერგება ბავშვებში საზოგადოებრივი ქონებისადმი (სათამაშო, წიგნი, ავეჯი) ფრთხილი და ფაქიზი მოპყრობის ჩვევები, უფროსების შრომისადმი პატივისცემის, თანატოლებთან ურთიერთმეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა და სხვ.

ზოგიერთ დაწესებულებაში ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი არაკეთილსინდისიერების ფაქტები.

განათლების განყოფილებათა ერთი ნაწილი სუსტად ხელმძღვანელობს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას; იშვიათად იხილავს ამ დაწესებულებათა საქმიანობას, ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი აღზრდისა და სკოლისათვის მომზადების საკითხებს. სათანადო ყურადღებას არ აქცევს კადრების სწორად შერჩევას, მათ საერთო კულტურას, ინტელექტს და ზოგჯერ ცენზსაც კი.

სუსტია მშობლებთან მუშაობა, არ წარმოებს მათი პედაგოგიზაცია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—სისტემატურად შეამოწმონ და რადიკალურად გარდაქმნან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა; სრული წესრიგი დაამყარონ მათში და შექმნან ჯანსაღი ატმოსფერო ნორმალური მუშაობისათვის; კონფერენციები ჩაატარონ ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე;

—აღკვეთონ შეუფერებელი ცენზისა და სათანადო მონაცემების მქონე კადრების დანიშვნა;

—კადრების შერჩევისას ყურადღება გაამახვილონ არამარტო ცენზზე, არამედ მათ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, მორალურ-ეთიკურ თვისებებზე;

—იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც ვერ იმსახურებენ სათანადო ნდობას, გაატარონ მკაცრი ღონისძიებები;

—განაზოგადონ მოწინავე მუშაკთა გამოცდილება; სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი;

—ჩამოაყალიბონ სკოლამდელ მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტები, ლექცია-საუბრების ჩასატარებლად მოიწვიონ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, პრაქტიკოსი მუშაკები ფსიქოლოგები;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებმა, მეთოდური კაბინეტების გამგეებმა და მეთოდისტებმა:

—სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე. შემოწმება ჩაატარონ მომთხოვნელობის, პრინციპულობისა და ობიექტურობის ვითარებაში, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ ზნეობრივი ნორმების დამრღვევთ;

—ღრმად შეისწავლონ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალები და პერიოდულად მოაწყონ სკოლამდელ მუშაკთა თეორიული კონფერენციები და სემინარები.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და აღმზრდელებმა:

—საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე გარდაქმნან მუშაობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზნეობრივი აღზრდის საკითხებს, რისთვისაც მოხერხებულად გამოიყენონ რეჟიმის ყველა მომენტი, მხატვრული ლიტერატურა, თვალსაჩინოება, დიაფილმები. შეაჩვიონ ბავშვები საზოგადოებრივ წესრიგს, ამხანაგების წრეში თავის დაჭერას, უფროსებისა და მშობლებისადმი პატივისცემას, დანერგონ და გააღვივონ ბავშვებში საბჭოთა სამშობლოს, თავისი ქვეყნის სიყვარული, მისაწვდომ ფორმებში გააცნონ გამოჩენილი ადამიანების, შრომის გმირების საქმიანობა და დადებით მაგალითებზე დანერგონ მათში სიკეთის, სიმართლის, პატიოსნების, შრომისა და სხვა დადებითი თვისებები.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა (ამხ. თ. ზახაშვილი) და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან (ამხ. ნ. კაკაურიძე) ერთად, დაამუშაოს მეთოდური ლიტერატურა და რეკომენდაციები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე და მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს განათლების სამინისტროში;

—მორიგ 23-ე რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე, 1977 წელს, გაამახვილოს ყურადღება სკოლამდელი ასაკის

ბივშვთა ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე, თემატიკიდან გამოყოს აღნიშნული საკითხები და შექმნას ცალკე სექცია.

5. სამეცნიერო სესიებზე, დახელოვნების კურსებსა და სემინა-რებზე სათანადო ადგილი დაეთმოს ზნეობრივი აღზრდის საკითხებს.

6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურ-ნალ „სკოლა და ცხოვრების" დარგობრივმა დამატებამ „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა" (ამხ. დ. გურგენიძე) სისტემატუ-რად გააშუქონ სკოლამდელი აღზრდის საკითხები.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე), ზნეობ-რივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, 1977 წლის ბიუ-ჯეტში გაითვალისწინოს რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში მეთო-დისტის ერთი საშტატო ერთეული.

8. კონფერენციისა და გამოფენის მომზადება-ჩატარებაში აქტი-ური მონაწილეობისა და თვითნაკეთი სათამაშოების მაღალ დონეზე შესრულებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს სკოლამდელ მუშაკთა ერთი ჯგუფის წახალისება. ამის თაობაზე სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ, გამოფენა-კონკურსის ჩამტარებელ ჟიურისთან ერთად, წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები.

9. განათლების სამინისტროს სამხატვრო-ტექნიკურმა კომისიამ (თავჯდომარე ამხ. ნ. ფოფხაძე) შეარჩიოს გამოფენა-კონკურსში გამარჯვებული სათამაშოების ნიმუშები და მისცეს რეკომენდაციები სათამაშოების ფაბრიკებს მათი სერიული დამზადებისათვის.

10. აღინიშნოს განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტო-რის (ამხ. მ. დოლონაძე) და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის (ამხ. ნ. კაკაურიძე) ნაყოფიერი მუშაობა სკო-ლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის მაღალიდეურ და მეთოდურ დონეზე ჩატარების საქმეში.

11. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელი-შვილი) აღმზრდელთა დასახმარებლად უზრუნველყოს კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების გამოცემა და თვალყური ადევნოს ამ ბრძა-ნების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-ლეგიის 1976 წლის 19 თებერვლის დადგენილება.

**მინისტრი თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 29 მაისის

# დადგენილება

**საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში**

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. თამილა ვასილის ასულ ნიკოლაიშვილის მოხსენება, კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ გეოგრაფია ხელს უწყობს მოსწავლეთა დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას, უმუშავებს რწმენას სოციალისტური წყობილების უპირატესობაში, ეხმარება მოსწავლეებს, სწორად გაიგონ ბუნების თავისებურება და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, უქმნის რა ამით საფუძველს ბუნებისადმი ფრთხილი და გონივრული დამოკიდებულების აღზრდისათვის მისი სამეურნეო გამოყენების პროცესში. საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლება კონკრეტიზაციას უკეთებს მოსწავლეთა თეორიულ ცოდნას მათთვის ნაცნობ ბუნებრივ და საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფაქტებზე, აღრმავებს სწავლების, ცხოვრებისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან კავშირს.

ზოგადი ეკონომიური პროცესების შესწავლა ადგილობრივი მეურნეობის მაგალითზე, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თავისებურებების გაცნობა ხელს უწყობს მოსწავლეთა პოლიტექნიკური ცოდნის გაფართოებას და მათ პროფორიენტაციას.

უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლებისათვის. დამუშავებულ და გამოცემული იქნა პროგრამები და სახელმძღვანელოები; მასიური

ტირაჟით გამოიცა საქართველოს სასწავლო გეოგრაფიული რუკები, საქართველოს ბევრ სკოლაში შეიქმნა კარგად აღჭურვილი გეოგრაფიული კაბინეტები და მოედნები.

რესპუბლიკაში ტარდება სპეციალური სამეცნიერო-პედაგოგიური კვლევა საქართველოს სსრ გეოგრაფიაში. პედაგოგიური ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება მეთოდური ხასიათის სტატიები. საკმაო ტირაჟით იცემა ლიტერატურა კლასგარეშე კითხვისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, მასწავლებელთ დახელოვნების ინსტიტუტები, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები სისტემატურად სწავლობენ საშუალო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების მდგომარეობას.

შემოწმების შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სკოლებში მუშაობენ კარგი მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციასა და პედაგოგიურ ოსტატობას, სწავლების პროცესში იყენებენ საჭირო თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს. ბევრი მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებით ამზადებს თვალსაჩინო იარაღებს და იყენებენ მათ გაკვეთილებზე.

ამასთანავე, საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლებაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი გადაუწყვეტი საკითხებისა და ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის კურსი (როგორც პროგრამები, ასევე სახელმძღვანელოები) იმეორებს გეოგრაფიული ცოდნის იმ ზოგად სისტემას, რომლის მიხედვითაც აგებულია სსრ კავშირის ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის კურსი.

დღეისათვის მოქმედი პროგრამები და სახელმძღვანელოები საქართველოს ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიაში გადატვირთულია, არასაკმაოდ ღრმად არის ახსნილი ფაქტები და მოვლენები ბუნების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დადგენის მიზნით, ადგილობრივ მაგალითებზე არ ხდება მოსწავლეთა მიერ გეოგრაფიის ზოგად კურსში შესწავლილი მნიშვნელოვანი თეორიული დებულების კონსტატირება.

კითხვებისა და დავალებათა სისტემა ატარებს ფაქტოლოგიურ მიმართულებას, კითხვები და დავალებები არ ითვალისწინებენ მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენას, თეორიული ცოდნის გამოყენებას ქვეყნის ბუნების ანალიზისათვის.

სახელმძღვანელოების მოცულობა არ ითვალისწინებს საქართვე-ლოს სსრ სკოლების სასწავლო გეგმით განკუთვნილ დროს, რომელიც ეთმობა რესპუბლიკის გეოგრაფიის შესწავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლება VII კლასში იწვევს სსრ კავშირის გეოგრაფიის ძირითადი კურსის შემცირებას 8 საათით

## კოლეგია ადგენს:

1. დაევალოს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ლ. მნათობიშვილს):

ა) 1975—76 სასწავლო წელს საქართველოს სსრ გეოგრაფიის კურსის შემსწავლელად VII—VIII კლასებში გაითვალისწინოს 36 სთ., ნაცვლად 45 საათისა;

ბ) ამასთან დაკავშირებით, ჩატარდეს სასწავლო მასალის შერჩევა საქართველოს სსრ გეოგრაფიაში და გადამუშავდეს VII—VIII კლასების პროგრამები და სახელმძღვანელოები საკუთარ რესპუბლიკაზე მოსწავლეთა ცოდნის გათვალისწინებით, რომელიც მიღებული აქვთ ბუნებისმცოდნეობაში II—III კლასებში, გეოგრაფიაში V—VII კლ.; აგრეთვე ბიოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა დისციპლინების შესწავლისას;

გ) ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. საყვარელიძე) 1977 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაონ და წარმოადგინონ კოლეგიაზე განსახილველად:

—მეთოდური მითითებანი საქართველოს გეოგრაფიის სწავლებაზე;

—თვალსაჩინოება: სურათების სერია, სასწავლო ფილმები, დიაფილმები, გეოგრაფიული რუკები, სასწავლო ატლასები, კონტურული რუკები საქართველოს გეოგრაფიაში VII—VIII კლასებისათვის.

2. პედაგოგიური საზოგადოების გეოგრაფიულ სექციასთან ერთად შეიმუშაოს და გამოსცეს მეთოდური სტატიების კრებული საქართველოს გეოგრაფიის სწავლებაში 10 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით.

3. რეკომენდაცია გაეწიოს გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდურ საბჭოს, განიხილოს და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში წინადადებები VII კლასში საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის

სწავლების მიზანშეწონილობაზე სსრ კავშირის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ, ე. ი. რეგიონული ნაწილის შესწავლა დაიწყოს საქართველოს შესწავლით.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 3 მარტის ბრძანება № 211

**1975 წლის IV კვარტალსა და 1976 წლის I კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ**

განათლების სამინისტროში შემოსული მასალებითა და ადგილზე ჩატარებული შემოწმებით ირკვევა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ერთ ნაწილში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეს. კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმე დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქ. ბათუმის № 2, სოხუმის № 2 და წალენჯიხის რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში, ჭიათურის, ასპინძის, ეწრის, თელავის № 1, ჩოხატაურის საბავშვო სახლებსა და სამტრედიის სპეციალურ სკოლა-ინტერნატში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატების მნიშვნელოვან ნაწილში კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა მრავალფეროვანი, ყუათიანი და გემრიელი კერძებით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება.

მიმდინარე სასწავლო წლის დეკემბერსა და იანვრის თვეში როგორც შემოწმებით, ისე ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ინტერნატულ დაწესებულებათა დიდ ნაწილს სავაჭრო ორგანიზაციები სისტემატურად არ აწვდიან ასორტიმენტით გათვალისწინებულ პროდუქტებს. მაგალითად, 1975 წლის IV კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციებმა არ მიაწოდეს არცერთი კილოგრამი ლობიო—მახუნცეთის, ჩაისუბნის, ხულოს, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ცხაკაიას, წულუკიძის, ქობულეთის სკოლა-ინტერნატებსა და რუსთავის, კოჯრის № 3 საბავშვო სახლებს, ახალი რძე—მახუნცეთის, ინგირის, თიანეთის სკოლა-ინტერნატებსა და კარდანახის საბავშვო

სახლს; თევზი — ხულოს, ცხინვალის, ბოგდანოვკის, ახალსოფლის, თიანეთის, ახალდაბისა და გორდის სანატორიულ სკოლა-ინტერნატებს, თბილისის № 2 და კოჯრის № 3 საბავშვო სახლებს; კვერცხი — ხულოს, ახალსოფლის, თიანეთის, ლაჯანურისა და გორის სკოლა-ინტერნატებს, ანალოგიური მდგომარეობაა 1976 წლის I კვარტალშიც.

გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით ს ვაჭრო ორგანიზაციებმა დიდი რაოდენობით დააკლეს საკვები პროდუქტები მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს (იხილეთ დანართი № 1).

დანართში მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, რომ ინტერნატული დაწესებულებების პროდუქტებით მომარაგების საქმეში განსაკუთრებით შეინიშნება ახალი რძის, ყველის, კვერცხის, ლობიოს, თევზეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ახალი ხილის ნაკლებობა, რაც მკვეთრად აუარესებს კერძების ხარისხსა და მის გემოვნებას. რაც მთავარია, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მენიუს მონაცვლეობასა და მის გამრავალფეროვნებას.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს 1975 წლის 25 აპრილის № 355 ბრძანებაში („1974 წლის IV და 1975 წლის I კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ“) აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ დროულად ეცნობა ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, რომლებმაც გარკვეული ღონისძიებანი გაატარეს ინტერნატულ დაწესებულებათა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში, არაფერი გაუმჯობესებულა ჩაისუბნის, ხულოს, ბოგდანოვკის, მახუნცეთის, ცხინვალის, ატენის, ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატებსა და რუსთავისა და კარდანახის საბავშვო სახლებში, აღნიშნულ დაწესებულებებს სავაჭრო ორგანიზაციებმა დიდი რაოდენობით დააკლეს (ან სრულებით არ შეიტანეს) ახალი რძე, ყველი, კვერცხი, ხორცი, თევზეული, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა პროდუქტები.

ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ მთელი რიგი სკოლა-ინტერნატების დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში, დირექტორის მოადგილეები საალმზრდელო დარგში და ექიმები დანაშაულებრივი უდარდელობით ეკიდებიან ბავშვთა კვების საქმეს. სწორედ უკონტროლობით, ზოგჯერ კი აშკარა ხელისშეწყობით აიხსნება, რომ სამზარეულოს მუშაკები აღსაზრდელებს დიდი რაოდენობით აკლებენ ნორმით გათვალისწინებულ კვების პროდუქ-

ტებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 17 იანვარს მარნეულის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი მ. მამედოვი) მენიუ-მოთხოვნილებაში [illegible] ნიშნული იყო მთელი დღის პროდუქტების მიღება, სინამ[illegible] საწყობიდან (საწყობის გამგე ლ. იგიდოვა, შეფმზარეული ლ. გულმამედოვა) გამოტანილი ჰქონდათ მხოლოდ დილის საუზმისათვის საჭირო პროდუქტები და სადილისათვის განკუთვნილი კარტოფილი. 61 კგ (სუფთა წონა) კარტოფილის ნაცვლად საწყობიდან გამოტანილი და ქვაბში ჩასაშვებად გამზადებული იყო 49 კგ კარტოფილი (სხვაობა 12 კგ.). დილის საუზმის დროს 164 მოსწავლეზე, რომლებიც მეორე ნაკადში იკვებებიან, ნორმით გათვალისწინებული 32,8 კგ პურის ნაცვლად გაიცა 30 კგ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასადილოში მწყობრიდან გამოსული იყო სასწორი, რის გამოც კარაქი და პური ულუფებად აუწონლად იჭრებოდა. ამასთან ერთად, მთელს სკოლა-ინტერნატში და განსაკუთრებით კი სამზარეულოში გამეფებული იყო სიშინელი ანტისანიტარია. სკოლა-ინტერნატის დირექციას საწყობიდან პროდუქტების გატანასა და სამზარეულოს მუშაობაზე არა აქვს დამყარებული კონტროლი. მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ და განუხილავთ აღსაზრდელთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები.

29 იანვარს თბილისის მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, დილის 8-დან 9 საათამდე ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც აღსაზრდელები საუზმობენ, არ იყო არც დირექტორი ნ. პატარიძე და არც დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ა. ჩახვაძე. აღსაზრდელთა დილის ტუალეტს არ დასწრებიან აღმზრდელებიც, თვით მზარეული მ. ცაცურაშვილი სამსახურში გამოცხადდა 8 სთ. და 30 წთ-ზე. მანამდე კი ყველაფერი ჭურჭლის მრეცხავის ანაბრად იყო მიტოვებული. ყოველივე ამის შედეგად, 29 იანვარს 76 აღსაზრდელზე გასაცემი 6400 გრ. პურის ნაცვლად გაიცა 3730 გრ., კარაქი—3,800 გრ. ნაცვლად—3,610 გრ, 190 გრ-ით ნაკლები. შედედებული რძე—2,280 გრ. ნაცვლად—2 კგ, 200 გრ-ით ნაკლები; მანანის ბურღული—2.280 გრ. ნაცვლად—1,750 გრ., 530 გრ-ით ნაკლები; კარტოფილი – 19 კგ. ნაცვლად—14,220, კგ., 4,780 კგ.-ით ნაკლები; კონფეტი—2280 გრ. ნაცვლად—1,800 გრ. 480 გ-ით ნაკლები; ჰავიდლო—2,280 გრ. ნაცვლად—1,950 გრ, 330 გრ-ით ნაკლები; ბრინჯი—0,760 კგ., ნაცვლად—1,21 კგ., 450 გრ-ით მეტი; ქისელის ფხვნილი—2,280 გრ., ნაცვლად—2,500 გრ, 220 გრ-ით მეტი.

თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის კვების ბლოკში, რომელსაც საქარხნო რაიონის საზკვების ტრესტის № 283 გაერთიანება უწევს მომსახურებას, 4 თებერვალს სერიოზული დარღვევები იქნა გამოვლინდა; ისარგებლა რა სკოლა-ინტერნატის დირექტორის ა. მიასნიკოვისა და სასადილოს გამგის ა. კარაპეტიანის (გამგედ დაინიშნა 1976 წლის 3 თებერვალს) მხრივ სრული უკონტროლობით, შეფმზარეულ რ. მაისურაძეს 472 აღსაზრდელზე გამოწერილი კვების პროდუქტებიდან აღმოაჩნდა 4,250 გრ ბრინჯისა და 1,620 გრ შაქრის დანაკლისი, 0,500 კგ კარაქის, 0,200 კგ მაკარონისა და 0,50 გრ ჩაის ზედმეტობა. შეფმზარეულმა და სამზარეულოს მუშაკებმა, მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, შეძლეს დაკავებული 6—7 კგ მანანის ბურღულის გადამალვა. ვინაიდან სამზარეულოში არ აღმოჩნდა გამართული სასწორი, შეუძლებელი შეიქნა დამუშავებული ხორცის წონის დადგენა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განაცხადში აღნიშნული 472 აღსაზრდელის ნაცვლად 4 თებერვალს სკოლა-ინტერნატში აღმოჩნდა 457 აღსაზრდელი. 4 თებერვალს პროდუქტების გაცემაზე ხელი არ ჰქონდა მოწერილი საწყობის გამგეს ვ. კერესელიძეს, რომელიც იმ დღეს არც კი გამოცხადებულა სამსხურში, ხოლო მიღებაზე—შეფმზარეულ რ. მაისურაძეს.

მიმდინარე წლის 6 თებერვალს თბილისის № 1დამხმარე სკოლა-ინტერნატის კვების ბლოკის (რომელსაც თბილისის საზკვების მე-2 ტრესტის № 65 გაერთიანება ემსახურება) მოულოდნელი შემოწმებისას შეფმზარეულ ც. ჩერქეზიშვილს აღმოაჩნდა 6.600 კგ კომპოსტოსა და 0,700 კგ ხახვის ნაკლებობა. თითოეულ ბავშვზე გასაცემი 20 გრამი კარაქის ნაცვლად გასცა 15 გრამი, მანანის ფაფა მხოლოდ წყლისა და მანანის ბურღულის ნაზარშს წარმოადგენდა. მასში არ იყო ჩაშვებული შაქარი, ნორმით გათვალისწინებული 800 გრამი კარაქი. ასევე, დაუშაქრავი იყო ჩაი. დამტვრეულ ჭურჭელში გადამალული აღმოჩნდა 100 გრამი ჩაი, ას-ას გრამიანი კოლოფი ქინძი, ორი კგ ნამცხვარი (რომელიც გაცემული იყო წინადღეს ვახშამზე). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანალოგიურ შემთხვევას ამ სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ნ. დუმბაძე, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ს. მედულიშვილი) 1974 წლის 14 ნოემბერსაც ჰქონდა ადგილი და, მიუხედავად განათლების სამინისტროს მოთხოვნისა, დამნაშავეთა დასჯის შესახებ საზკვების ტრესტის ხელმძღვანელებმა ადგილზე დატოვეს შეფმზარეული ც. ჩერქეზიშვილი. სათანადო დასკვნები არც სკოლა-ინტერნატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექციას გაუკეთებია და არ დაუწესებია სამზარეულოს მუშაობაზე საჭირო კონტროლი.

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი გასული წლის დეკემბერში სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატშიც, სადაც მეტად უხარისხო და უგემური კერძებით გაუმასპინძლდნენ აღსაზრდელებს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები სრულ უყურადღებობას იჩენენ მათდამი დაქვემდებარებულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვებისადმი, წლიდან წლამდე არ აკონტროლებენ და არც ეხმარებიან ინტერნატულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს კვების პროდუქტებით მომარაგებისა და კერძების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის დირექტორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან განათლების სამინისტროში პროდუქტების ათვისების შესახებ ნორმების დროულად გადმოგზავნის საქმეს. მაგალითად, 1976 წლის 28 იანვრისათვის 1975 წლის IV კვარტალის ცნობები გადმოგზავნილი არ ჰქონდათ ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ, მუსიკალურ, სოხუმის № 1, დრანდის, კირნათის, ბათუმის № 1, ჯავის, ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ, ახალციხის № 1, № 2, გეგეჭკორის, ზუგდიდის საშუალო, განთიადის № 2 კალდახვარის, თბილისისა და მატნის რუსულიან სკოლა-ინტერნატებს; ბათუმის, მახინჯაურის, ლენინგორის, ქუროის, კოჯრის № 2, საჩხერის საბავშვო სახლებსა და ქ. თბილისისა და ქუთაისის ყრუ ბავშვთა, ქ. თბილისის, მიუსერას და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატებს.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მკაცრი კონტროლი დააწესონ სამზარეულოს მუშაობაზე, კვების ბლოკებში პროდუქტების გაცემის დროს შემოიღონ უფროსკლასელების, მასწავლებლებისა და აღმზრდელების სავალდებულო მორიგეობა, ხოლო მენიუზე, როგორც წესი, სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად ხელი მოაწერონ მორიგე აღმზრდელებმა;

ბ) ყოველდღიურად განსაზღვრონ თითოეული კერძის გამოსავლიანობა, მისი კალორაჟი და მიაღწიონ იმას, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ ნორმით გათვალისწინებული ულუფა;

ბიბლიოთეკა

გ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ სავაჭრო ორგანიზაციებიდან ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტების, განსაკუთრებით კი ახალი ხილის, ბოსტნეულის, ლობიოს, რძის პროდუქტების, თევზეულისა და კვერცხის მიღება; არ დაუშვან კვებისათვის გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობის არც ერთი შემთხვევა;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ კვების ბლოკებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის; უზრუნველყონ ისინი ჭურჭლით, საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობითა და ინვენტარით;

დ) სისტემატურად შეისწავლონ ინტერნატული დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის საკითხები და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შემთხვევებში დახმარებისათვის მიმართონ განათლების განყოფილებებს.

2. თბილისის მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა და მარნეულის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა ნ. პატარიძემ და მ. მამედოვმა აღსაზრდელთა კვების საქმეში ჩადენილი სიყალბისათვის დაკავებული თანამდებობიდან მოხსნან აღსაზრდელთა კვების პროდუქტების მითვისებაში შემჩნეული პირები.

3. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საჭირო ზომები მიიღონ ინტერნატული დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ბ) სისტემატური ზედამხედველობა დააწესონ მათდამი დაქვემდებარებულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვებაზე, მსჯელობის საგნად აქციონ იგი კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და სასტიკად დასაჯონ ის მუშაკები, რომლებიც მხილებულნი იქნებიან პროდუქტების მითვისებასა და სანიტარული ნორმების დარღვევაში.

4. კვების ბლოკების მუშაობაზე სუსტი კონტროლის, სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეში არსებული უხეში დარღვევისათვის თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორს ა. მიასნიკოვს, თბილისის მხედვე-

ლობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორს ნ. ვა-
ტარიძეს, მარნეულის სკოლა-ინტერნატის დირექტორს მ. მამ[illegible]
თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის [illegible]
ლეს აღმზრდელობით დარგში ს. მედულაშვილს გამოეცხადოთ
საყვედური.

5. საჭირო ზომების მისაღებად შესაბამისი რაიონების საზკვების
ტრესტებს გადაეგზავნოთ მასალები თბილისის რვაწლიან და № 2
დამხმარე სკოლა-ინტერნატების კვების ბლოკებში გამოვლინებული
უხეში დარღვევებისა და შეფმზარეულის ც. ჩერქეზიშვილისა და
რ. მაისურაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა (ამხ
მ. მეგრელიშვილი) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. კ. შავიშვილი)
დაავალდებულონ ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები, რათა მათ
უზრუნველყონ ინტერნატული დაწესებულებები ნორმით გათვალის-
წინებული კვების პროდუქტებით.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ
(ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) და სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ.
ზ. როგავა) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1976 წლის 19 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

განთიადის სკოლა-ინტერნატს — ბოსტნეული — 1948 კგ, ახალი ხილი — 3229 კგ, თევზი — 1247 კგ, ახალი რძე — 612 კგ, კვერცხი — 7437 ც.; ბაბუშერას სკოლა-ინტერნატს — კარტოფილი — 1575 კგ, ბოსტნეული — 790 კგ, ახალი ხილი — 1250 კგ, ახალი რძე — 114 კგ, ყველი 300 კგ, კვერცხი — 1234 ც.; მახუნცეთის სკოლა-ინტერნატს — ბოსტნეული — 2805 კგ, თევზი — 657 კგ, ყველი — 231 კგ, კვერცხი — 4668 კგ; ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატს — ხილი — 6057 კგ, თევზი — 354 კგ, ყველი — 465 კგ; ხულოს სკოლა-ინტერნატს — ბოსტნეული — 2193 კგ, ახალი ხილი — 2148 კგ, კვერცხი — 11075 ც.; ცხინვალის სკოლა-ინტერნატს — ლობიო — 471 კგ, კარტოფილი — 3687 კგ, ბოსტნეული — 4651 კგ; ახალი ხილი — 3843 კგ, ხორცი — 836 კგ; ლენინგორის სკოლა-ინტერნატს ლობიო — 412 კგ, ხორცი — 937 კგ, კვერცხი — 9548 ც.; ბოგდანოვკის სკოლა - ინტერნატს — ლობიო — 245 კგ, კარტოფილი — 5162 კგ, ბოსტნეული — 2191 კგ, ახალი ხილი — 1950 კგ, თევზი — 1119 კგ, ყველი — 335 კგ, კვერცხი — 8248 ც., დუშეთის სკოლა-ინტერნატს — ბოსტნეული — 2191 კგ, ახალი ხილი — 1766 კგ, თევზი — 860 კგ, კვერცხი — 10810 ც.; ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატს — ლობიო — 279 კგ; ბოსტნეული — 1500 კგ, თევზი — 60 კგ, ყველი — 226 კგ; ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატს — კარტოფილი — 3521 კგ, ბოსტნეული — 2604 კგ, კვერცხი — 7385 ც.; რუსთავის საბავშვო სახლს — ლობიო — 190 კგ, ბოსტნეული — 846 კგ, თევზი — 349 კგ, ყველი — 239 კგ, კვერცხი — 2986 ც.; თბილისის № 2 საბავშვო სახლს — კარტოფილი — 4284 კგ, ბოსტნეული — 2495 კგ, ყველი — 249 კგ, კვერცხი — 6515 კგ; კარდანახის საბავშვო სახლს — ბოსტნეული — 710 კგ, ხორცი — 375 კგ, თევზი — 341 კგ, ყველი — 113 კგ, კვერცხი — 2615 ც; ვაშლოვანის საბავშვო სახლს — ლობიო — 96 კგ, ახალი ხილი — 554 კგ, თევზი — 300 კგ და სურამის საბავშვო სახლს — ლობიო — 133 კგ, ახალი ხილი — 1839 კგ, თევზი — 369 კგ და ახალი რძე — 290 კგ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ 1976 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 288

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1976 წლის 16 იანვრის № 3 დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურმა კომისიამ მიმდინარე წლის 16 იანვარს განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობის შესახებ“ და მიიღო სათანადო დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამტრედიის სპეცსკოლის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში, გარკვეულ წარმატებებთან ერთად, ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები; სპეცსკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს ყველა დაწესებულ პირობას; სკოლაში დღემდე მოუწყობელია საწარმოო დანიშნულების სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები; არსებული სასკოლო ინვენტარი მოძველებულია და მოითხოვს განახლებას, საძინებელ ოთახებში საწოლები და საწოლებზე გადასაფარებლები მოძველებულია, სკოლას არ გააჩნია საცხოვრებელი კორპუსიდან იზოლირებული საკარანტინო სათავსო. სკოლის აბანო და სამზარეულო არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, სასაწყობო მეურნეობა უვარგისია, ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომელზეც მიერთებულია სკოლის ქსელი, დღემდე არ არის კანალიზირებული, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის სანიტარული ნორმების დაცვის საქმეში. სკოლის სასწავლო კაბინეტებში იგრძნობა თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა ნაკლებობა, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მცირეა.

აღსაზრდელთა ჩაცმულობა არადამაკმაყოფილებელია; ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ფიზიკა-ტექნიკის, რადიოტექნიკის და ფოტომოყვარულთა წრეები; ნაკლოვანებებით ხასიათდება საშეფო ორგანიზაციებისა და მზრუნველთა საბჭოს მუშაობა.

ამასთან, აღვნიშნავ, რომ საკითხი სამტრედიის სპეცსკოლის მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ 2-ჯერ განიხილა და მიიღო შესაბამისი ბრძანებები (29.10 75 № 673 და 05—08.75 № 563).

ბრძანებების შესრულების შემოწმებამ ცხადყო, რომ კვლავ შეუსრულებელია 29.10.75, № 673 ბრძანების ის პუნქტი, რომელიც ეხება სპეცსკოლაში სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობას, რის გამო არ სრულდება სპეცსკოლის დებულების მე 17 მუხლი, რომლის მიხედვით ამ სკოლის აღსაზრდელები აუცილებლად უნდა იყვნენ დასაქმებული საწარმოო სახელოსნოებში. აღნიშნული მდგომარეობა გაპირობებულია იმით, რომ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა, მიუხედავად მოცემული პირობისა, დღემდე ვერ უზრუნველყო სპეცსკოლის აღსაზრდელთა დასაქმებისათვის სამუშაო მოცულობის გადაცემა, ხოლო სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ ვერ გადასცა საპროექტო კანტორას საპროექტო დავალება, თუ რა პროდუქციის დამზადება-გამოშვებაზე იმუშავებენ საწარმოო სახელოსნოები შესაბამისი ტექნოლოგიური პროექტის დასამუშავებლად, რის გამო საპროექტო კანტორის მიერ დამუშავებული სახელოსნოების სამშენებლო პროექტის საბოლოო ვარიანტი დღემდე დაუმთავრებელი რჩება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1976 წლის 16 იანვრის № 3 დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) ათი დღის ვადაში განსაზღვროს პროფილი, თუ რა სახის პროდუქციის გამოშვებაზე იმუშავებენ სამტრედიის სპეცსკოლის აღსაზრდელები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში და მისცეს სათანადო საპროექტო დავალება სამინისტროს საპროექტო კანტორას შესაბამისი ტექნოლოგიური პროექტის დასამუშავებლად.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორამ (ამხ. თ. ქიქოძე) საპროექტო დავალების მიღებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს სამტრედიის სპეცსკოლისათვის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და წარმოადგინოს იგი განსახილველად.

3. ძომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) სამტრედიის სპეცსკოლა უზრუნველყოს საჭირო ოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, თვალსაჩინოებით, სხვა ხელსაწყოებითა და ტექნიკური საშუალებებით, ხოლო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები— დამტკიცებული პროექტის მიხედვით საჭირო მოწყობილობითა და სხვა დანადგარებით.

4. საგეგმო-საფინანსო და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებმა (ამხ. ა. კვაჭაძე, ამხ. ს. ჟიჩანეიშვილი) გაითვალისწინონ მიმდინარე წელს სპეცსკოლის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობისა და რეკონსტრუქცია—რემონტის ჩასატარებლად საჭირო სახსრები და მასალები.

5. სამტრედიის სპეცსკოლის დირექტორმა (ამხ. ა. გოგუაძემ) უზრუნველყოს მიღებული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობისათვის რეკონსტრუქცია-რემონტის სამუშაოების ჩატარება იმ ვარაუდით, რომ სახელოსნოები მუშაობას შეუდგნენ მიმდინარე წლის სექტემბრიდან.

6. აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მეთოდკაბინეტმა (ამხ. ა. ვაჩნაძე) ვერ უზრუნველყო განათლების სამინისტროს № 563 ბრძანების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის შესრულება.

7. სამტრედიის სპეცსკოლის დირექტორმა ამხ. მ. გოგუაძემ:

ა) მიიღოს აუცილებელი და გადამჭრელი ზომები აღსაზრდელთა სამართლებრივი აღზრდის უზრუნველსაყოფად, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის;

ბ) ძირეულად გარდაქმნას საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობა, უმოკლეს ვადაში ჩამოაყალიბოს ფიზიკა-მათემატიკის, რადიოტექნიკისა და ფოტომოყვარულთა წრეები;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კლას-კაბინეტებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, დიდაქტიკური მასალებითა და სასწავლო მოწყობილობით შევსების საქმეს. ამასთან ერთად, მიიღოს გადამჭრელი ზომები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობისა და მათში უსაფრთხოების წესების დაცვისათვის;

დ) გაზარდოს სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურით;

ე) გამოიჩინოს მეტი მომთხოვნელობა პედკოლექტივის მიმართ. დააწესოს სისტემატური კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა უბანზე.

8. ეთხოვოს საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომსა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს, რათა გაზარდონ შეფ-ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამტრედიის სპეცსკოლაზე რეალური მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

9. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოებმა (ამხ. ამხ. თ. ნიკოლაიშვილი, ს. უჩანეიშვილი) დააწესონ კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 19 თებერვლის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 19 მარტის ბრძანება № 284

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთი ნორმატიული დოკუმენტის გაუქმების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 634 დადგენილებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 29 აგვისტოს № 116 ბრძანების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუქციები, დებულებები, მეთოდური მითითებანი:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1953 წლის 31 იანვარს დამტკიცებული „ინსტრუქცია საშუალო, რვაწლიანი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კურსდამთავრებულთა სიმწიფის ატესტატისა და მოწმობის ბლანკების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 17 მაისს დამტკიცებულია ახალი „ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1960 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული „ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხო ენების შემსწავლელი წრეების შესახებ“ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1966 წლის 11 აგვისტოს დამტკიცებულია ახალი „ინსტრუქცია ზო-

გადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხო ენების შემსწავლელი წრეების შესახებ“.

ეროვნული

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 27 აგვისტოს № 1310 ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულება“ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 2 თებერვლის № 41 ბრძანებით დამტკიცებულია ახალი „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულება“.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 3 ოქტომბრის № 758 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება საშუალო სკოლისა ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლებით“ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1973 წლის 22 ოქტომბერს დამტკიცებულია ახალი „დებულება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება“.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1966 წლის 18 ივლისს დამტკიცებული „მეთოდური მითითებანი უცხო ენაში საკონტროლო წერითი სამუშაოების რაოდენობისა და სახეების შესახებ“ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1976 წლის 13 იანვარს დამტკიცებულია ახალი „მეთოდური მითითებანი უცხოურ ენაში საკონტროლო წერითი სამუშაოების სახეებისა და რაოდენობის შესახებ“.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1975 წლის 6 თებერვლის ერთობლივი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 3

2. ბრძანება № 88—ქ. რუსთავის საღამოს პირველი საშუალო სკოლის დირექტორ ლ. სიჭინავას მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 8

3. Приказ № 98—О постановке преподавания родного языка и литературы в общеобразовательных школах с русским языком обучения Цалкского района в свете Постановления ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР от 10 июля 1973 г. „О состоянии преподавания русского языка в учебных заведениях республики и мерах по его улучшению“ . . . . . . . 10

4. ბრძანება № 129—თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის საძინებელ კორპუსში მომხდარი შემთხვევის შესახებ . . . . . . . . . . . . . 18

5. ბრძანება № 133—1975 წელს შორეული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პედინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩარიცხვის შედეგებისა და 1976 წელს მათი კონკურსგარეშე მიღების შესახებ . . . . . . . 20

6. ბრძანება № 137—კომუნისტური მორალის ნორმების დაფუძნებისა და მავნე ტრადიცია-წესჩვეულებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 24

7. ბრძანება № 149—სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკურ კონფერენციასთან დაკავშირებით) . . . . . . . 35

8. დადგენილება—საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში . . . . . . 39

9. ბრძანება № 211—1975 წლის IV კვარტალსა და 1976 წლის I კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 43

10. დანართი № 1 . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 50
11. ბრძანება № 278 —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1976 წლის 16 იანვრის № 3 დადგენილების შესრულების შესახებ . 51
12. ბრძანება № 284—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთი ნორმატიული დოკუმენტის გაუქმების შესახებ . . . . . . . . 55
13. შინაარსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. IV-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75.

შეკ. № 382. უე—04116 ტირაჟი 5.000

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19